

4 . 1 . ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების არსი

ფინანსურ აღრიცხვაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა იმ ფუნდამენტური ზოგადი წესების შემუშავებას, რომლის გარეშეც, ყოველი ახალი ორგანიზაციისათვის ახალი წესების შესწავლა მოგვიწევდა და შეუძლებელი იქნებოდა ორი სხვადასხვა ორგანიზაციის ინფორმაციის ერთმანეთთან შედარება. ამ წესებით არის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშების შედგენის თანმიმდევრობა.

ბუღალტრულ აღრიცხვას უპრიანია ვაუწოდოთ **“გიზნესის ენა”**. მისი შესწავლის პროცესი ბევრი რამით გავს სხვა ნებისმიერი ენის შესწავლას, მაგრამ მას ართულებს ის ფაქტი რომ ბუღალტრულ აღრიცხვაში გამოყენებულ სიტყვებს ყოვლდღიურ ცხოვრებაში გავრცელებული მნიშვნელობისაგან განსხვავებული მნიშვნელობა გააჩნია.

ბუღალტრული აღრიცხვა ვითარდება და იცვლება საზოგადოების მოთხოვნების ცვლილების საპასუხოდ. ქვემოთ აღწერილი წესები გამოიყენება აწმყო დროში, მაგრამ შესაძლებელია რომელიმე მათგანი შეიცვალოს ორგანიზაციის ცვალებადი საჭიროებების შესაბამისად.

პრინციპების არსი. ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების წესებსა და შეთანხმებებს როგორც წესი უწოდებენ პრინციპებს. აქ სიტყვა **“პრინციპი”** გამოიყენება როგორც მნიშვნელობა **“საერთო კანონისა ან წესისა, რომელიც მიღებულია ან გამოცხადებულია როგორც სამოქმედო წესი, შეთანხმებული პოზიცია ან პრაქტიკაში მოქმედებების საფუძველი”**.

ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები დამუშავებულია ადამიანების მიერ და ფიზიკის, ქიმიის და სხვა ბუნებრივი მეცნიერებების კანონებისაგან განსხვავებით არ წარმოადგენს **“შედმივ ჯეშმარიტებებს”**. სააღრიცხვო პრინციპების ფართო აღიარება დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად ზუსტად პასუხობენ ისინი შემდეგ კრიტერიუმებს: **ფასეულობა მომხმარებლისათვის, ობიექტურობა და განხორციელებადობა**. პრინციპი **ფასეულობა მომხმარებლისათვის** - თუკი ინფორმაცია ფასეულია და სარგებლობას მოუტანს მას, ვისთვისაც აუცილებელია რამე იცოდეს კონკრეტული ორგანიზაციის შესახებ. პრინციპი **ობიექტურობა** - თუკი ინფორმაციაზე გავლენას არ ახდენს მისი მომზადებლის პირადი აზრები და შეფასებები. ობიექტურობა გულისხმობს საიმედოობას, შემოწმებადობას და არსებულთან შესაბამისობას. პრინციპი **განხორციელებადობა** - თუკი ის შეიძლება შესრულდეს გადამეტებული სირთულეებისა და დანახარჯების გარეშე.

ახალი პრინციპების დამუშავებისათვის მნიშვნელოვანი ამოცანაა სწორი ბალანსის მიღწევა ერთის მხრივ ინფორმაციის ფასეულობასა და მეორის მხრივ ობიექტურობასა და განხორციელებადობას შორის.

როგორც წინა თავებში იყო აღნიშნული, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლებს ხშირად აინტერესებთ არა ერთი, არამედ სხვადასხვა საწარმოთა ფინანსური ინფორმაცია. ამდენად მიწოდებული ინფორმაციით მათ უნდა შეძლონ შეაფასონ სხვადასხვა საწარმოთა პარამეტრები: მომგებიანობა, გადახდისუნარიანობა, კომერციული რისკები და ა.შ. მიუხედავად იმისა, ეს საწარმო

რომელ დარგს ან რომელ სამართებლივ ფორმას მიეკუთვნება. ამიტომ ლოგიკურია, რომ მათზე მიწოდებული ინფორმაცია რაღაც ზოგად პრინციპებს უნდა ეყრდნობოდეს.

ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობით, როგორც წინა თავებში ავლიშნეთ ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება იწარმოება საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით.

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებზე წარდგნის წესებს განიხილავს „ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები“ და ბასს №1 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“.

ამ სტანდარტების საფუძველში დევს ის ძირითადი კონცეფციები, რომელსაც აღიარებდა და იყენებდა იმ ქვეყნების სპეციალისტები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებას.

ამ თავში გაგაცნობთ ბუღალტრული აღრიცხვის იმ ზოგად ფუნქციებს, რომელსაც ეყრდნობა ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების წესები, პრინციპები, სტანდარტები. ეს კონცეფციებია:

1. ფულადი განზომილების (შეფასების) კონცეფცია;
2. საწარმოს ავტონომიურობის (განცალკევებულობის) კონცეფცია;
3. მოქმედი (ფუნქციონირებადი) საწარმოს კონცეფცია;
4. ღირებულებითი (თავდაპირველი ღირებულებით) აღრიცხვის კონცეფცია;
5. აღრიცხვის ორადის (ორადი აღრიცხვის) კონცეფცია;
6. სააღრიცხვო პერიოდის კონცეფცია;
7. კონსერვატიზმის (შეფასებაში სიფრთხილის, წინდახულობის) კონცეფცია;
8. რეალიზაციის კონცეფცია;
9. შესაბამისობის (მიმტელობის) კონცეფცია;
10. თანმიმდევრულობის კონცეფცია;
11. არსებითობის კონცეფცია.

ესლა ჩვენი მიზანია არა მარტო გაგაცნოთ ეს კონცეფციები, არამედ შევეცადოთ მათი გამოყენებით, მარტივად აგიხსნათ ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების არსი.

4 . 2 . ფულადი განზომილების (შეფასების) კონცეფცია

ბუღალტრულ აღრიცხვაში, აისახება - ჩაიწერება მხოლოდ ისეთი ოპერატორი, რომლის ასახვაც შესაძლებელია ფულად გამოსახულებაში.

ასეთი აღრიცხვის უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ ფული წარმოადგენს ზოგადად მიღებულ საზომ ერთეულს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია საწარმოში მომხდარი არაერთგვაროვანი ფაქტების ერთ განზომილებაში – რიცხვებში გამოსახვა, რითაც მიიღწევა მათი შეჯამება, გამოთვლა და ა.შ.

მაგ. საწარმო ფლობს 20.000 ლარს-ფულს; 100θ²-შენობას; 1-ავტომანქანას და ა.შ. ჩვენ რომ განვსაზღვროთ თუ რა ქონება აქვს საწარმოს, ამ ფაქტებს ვერ შევკრებთ,

მაგრამ თუ მათ გავზომავთ ფულად ერთეულში: 20.000 ლარი - ფული; 40.000 ლარი - შენობის ღირებულება; 10.000 ლარი - ავტომანქანის ღირებულება; მათი შეკრება შესაძლებელი გახდება და საწარმოს ქონების ღირებულება იქნება – 70.000 ლარი.

4 . 3 . საწარმოს აგტონომიურობის (განცალკევებულობის) კონცეფცია

ავტონომიურობის კონცეფციის თანახმად სამეწარმეო სუბიექტის სააღრიცხვო ინფორმაცია განცალკევებული უნდა იყოს მისი მულობელების შესაბამისი ინფორმაციებისაგან.

თუ სამეწარმეო საქმიანობა ხორციელდება ერთი ან რამდენიმე პირის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის ჩამოყალიბებით (მაგალითად შ.პ.ს.), ამ კონცეფციის თანახმად, შექმნილი პირი - შ.პ.ს., თავისი ქონებით, უფლებებითა და ვალდებულებებით დამოუკიდებელია, განცალკევებულია მისი მესაკუთრეებისაგან, ანუ წარმოადგენს სხვა პირს, რაც იმას გულისხმობს, რომ შექმნილი პირის - როგორც საწარმოს - ყველა ინფორმაცია ცალკე უნდა აღირიცხებოდეს. მაგრამ არა მარტო იურიდიული პირის დროს არამედ იმ შემთხვევაშიც კი, როცა პირი ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, როგორც ფიზიკური პირი, სააღრიცხვო მიზნებისათვის საწარმო განიხილება ცალკე ერთეულად და დაცული უნდა იქნას ქონებრივი განცალკევებულობის პრინციპი. მაგ. ინდმეწარმეს აქეს მაღაზია და ვთქვათ მაღაზიის სალაროდან აიღო 100 ლარი პირადი საჭიროებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ფული ამოღებული იქნა მაღაზიის „ჯიბიდან“ და ჩადებული იქნა მისივე მეპატრონის „ჯიბეში“, განცალკევებულობის კონცეფციის თანახმად, ეს ოპერაცია არის ორ პირს: ინდმეწარესა და ფიზიკურ პირ-მეპატრონეს შორის ურთიერთობა და ის უნდა აისახოს მაღაზიის ბუღალტრულ რეგისტრებში, როგორც ფულადი გასავალი მეპატრონებე.

მეპატრონესა და საწარმოს შორის ურთიერთობა განსაზღვრულია და ის მნიშვნელოვნად შეზღუდულია. კერძოდ:

- ✓ მეპატრონეს შეუძლია საწარმოში შეიტანოს კაპიტალის სახით (ფულადი ან არაფულადი ფორმით) ქონება, ან მიასესხოს თავისივე საწარმოს ფული.
- ✓ მეპატრონეს შეუძლია საწარმოს კაპიტალიდან გაიტანოს წილის ღირებულება, მოგებიდან წილი (დივიდენდი) ან აიღოს სესხი თავისივე საწარმოდან.

4 . 4 . მოქმედი (ფუნქციონირებადი) საწარმოს კონცეფცია

ბუღალტრული აღრიცხვა გულისხმობს, რომ საწარმო არის მოქმედი დღეს და ფუნქციონირებას ავტომატური განუსაზღრულოდ მომავალში. ანუ დღეს არ ჩანს, რომ საწარმოს სურს ან ემუქრება ფუნქციონირების შეწყვეტა. ამ კონცეფციის აღსაქმელად, შეიძლება გამოვიყენოთ საწინააღმდეგო სიტუაცია, როცა საწარმოს ელოდება ფუნქციონირების შეწყვეტა - ლიკვიდაცია: ასეთ შემთხვევაში ბუღალტერმა მაგალითად ყველა აქტივი სისტემატურად უნდა შეაფასოს მიმდინარე ღირებულებით - ანუ იმ ფასად

რასაც რეალურად ბაზარზე გაყიდვით მიღებდა დღეს, მაგრამ ფუნქციონირებადი საწარმოს შემთხვევაში ასეთი საჭიროება არ არის. აქტივები შეფასებულია თავდაპირველი - შეძენის, შექმნის ღირებულებით და ბუღალტერი სარეალიზაციო ღირებულებას ასახავს მათი გაყიდვის დროს, ხოლო ძირითადი საშუალებები ინარჩუნებენ თავდაპირველ შეფასებას, რადგან ისინი მონაწილეობენ საწარმო პროცესებში და მათი გაყიდვა საერთოდ არ ხდება. საწარმოს ლიკვიდაციის დროს კი ანგარიშების ყველა ელემენტი სალიკვიდაციო ღირებულებით ფასდება. ე. ი. **საწარმო როცა ფუნქციონირებადია მასში მუშაობებს აღრიცხვის ყველა ზოგადი კონცეფცია, არაფუნქციონირების დროს კი განსაკუთრებული წესები მომდებარებენ.** ამდენად ზემოთ აღნიშნულ პრინციპებს როცა ვიყენებთ, იგულისხმება რომ საწარმო არის ფუნქციონირებადი.

4 . 5 . ღირებულების აღრიცხვის კონცეფცია

ეს კონცეფცია მჭიდროდ არის დაკავშირებული ფუნქციონირებადობის (მუდმივობის) კონცეფციასთან და გულისხმობს იმას, რომ **ბუღალტრუდ აღრიცხვაში საშუალებები (ქონება) ანუ აქტივები, როგორც წესი ასახება (რეგისტრირდება) მასში შეძენის დროს გაწეული დანახარჯით და ეს ღირებულება წარმოადგენს აქტივების შემდგომი აღრიცხვის საფუძვლს.**

რადგანაც აქტივები თავიდანვე რეგისტრირდება ღირებულებით, ამიტომ მას ხშირად მოიხსენიებენ **თავდაპირველ ღირებულებად.** ამდენად საწარმოს ფინანსურ ანგარიშებაში ასახული აქტივების ღირებულება ყოველთვის არ გულისხმობს ამ დღისათვის მის საბაზრო ფასს. ღირებულებითი კონცეფცია არ ნიშნავს, რომ სანამ აქტივი ეკუთვნის საწარმოს, იგი ინარჩუნებს სააღრიცხვო რეგისტრებში თავის პირვანდელ შესყიდვის ღირებულებას. **მაგალითად:** ისეთი აქტივები, როგორიც არის ძირითადი საშუალებები, შენობები, მანქანა-დანადგარები და ა. შ. რომლებიც ხანგრძლივად ემსახურებან საწარმოს, დროთა განმავლობაში განიცდიან ღირებულების კლებას და შესაბამისად ანგარიშებაში აისახებიან თანდათანობით შემცირებული ღირებულებით - ანუ ცვეთის გამოკლებით. (ეს საკითხი განხილული იქნება შემდეგ თავებში)

ღირებულებითი კონცეფციის არსებობა გვაძლევს შედარებით ობიექტურ და სტაბილურ საფუძველს საბუღალტრო აღრიცხვისათვის. საბუღალტრო ანგარიშების მომხმარებლებმა უნდა იცოდნენ, რომ იგი დაფუძნებულია თავდაპირველი ღირებულების პრინციპებზე (თუ სტანდარტის შესაბამისად, რომელიმე აქტივის შეფასებისათვის სხვა წესი არ არის გამოყენებული) და თვითონ უნდა შეძლონ შეაფასონ მიმდინარე ღირებულება. ანგარიშებაში მოცემული ინფორმაციის ანალიზისა და სხვა არასააღრიცხვო ინფორმაციის საფუძველზე.

ამასთანვე, ბუღალტრებისათვის რთულია გამოიყენოს საბაზრო ფასის ან მიმდინარე ღირებულების კონცეფცია, რადგან ამ შემთხვევაში მუდმივად უნდა ადევნონ თვალყური ყოველი აქტივის საბაზრო ფასის ცვლილებას.

ღირებულებითი აღრიცხვის კონცეფცია წარმოადგენს მეტნაკლებად პრაქტიკულ სისტემას. ამასთანავე ის ყველაზე „ობიექტურია“, რადგანაც გამორიცხავს აქტივების მიმდინარე ღირებულების თვითნებურ შეფასებას.

4 . 6 . აღრიცხვის ორადობის (ორადი აღრიცხვის) კონცეფცია

ქონება, რომელიც გააჩნია საწარმოს აქტივების იწოდება, მაგრამ ამ ქონებას აქვს წარმომავლობა - წყარო საიდანაც შემოვიდა საწარმოში. ეს წყარო იწოდება - ჰასივების.

ქონების წარმოშობის თავდაპირველი და უმნიშვნელოვანესი წყაროა - მფლობელთა კაპიტალი (რომელიც ბიზნესის მეპატრონები - კაპიტალის მფლობელმა ჩადო - დააბანდა საწარმოში). გარდა ამისა, საწარმომ შეიძლება ისესხოს ფულადი სახსრები, კრედიტები - ანუ შემდგომი გადახდის პირობით, შემოიტანოს აქტივები. ასეთი აქტივების წარმოშობის წყაროა საწარმოს მიერ მოზიდული კაპიტალი ანუ გალდებულებები.

ქონება, რომელიც გააჩნია საწარმოს, მიუხედავად იმისა, რომელი გზით მოიზიდა ის: საკუთარი კაპიტალით თუ ვალდებულებით, ამ ქონების მესაკუთრე თვითონ საწარმოა (ავტონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე) და უშუალოდ ამ ქონებაზე არ შეიძლება პრეტენზია ჰქონდეს მევალეს ან საწარმოს პარტნიორს (ინვესტორს), მაგრამ მათ ექნებათ პრეტენზია ამ ქონების ღირებულების შესაბამის ფინანსებზე.

საილუსტრაციო მაგალითი: საწარმომ შეიძინა 2.000 ლარიანი დანადგარი კრედიტში, ამ დროს საწარმოს აქტივებში (ქონებაში) აისახება დანადგარი 2.000 ლარის და პასივებში - მომწოდებლის ვალდებულების სახით - 2.000 ლარი. აღნიშნული ჩანაწერი ასე უნდა გავიგოთ: 2.000 ლარის ღირებულების დანადგარის მფლობელი არის თვითონ საწარმო და მევალეს ამ საწარმოს მიმართ გააჩნია პრეტენზია, მოთხოვნის უფლება - 2.000 ლარზე და არა დანადგარზე.

რამდენადაც საწარმოს აქტივების მიმართ გარკვეული პრეტენზია მოთხოვნის უფლება ექუთვნით კაპიტალის მფლობელებს და კრედიტორებს და რამდენადაც ამ პრეტენზის საერთო თანხა არ შეიძლება არსებული აქტივების საერთო თანხაზე მეტი იყოს, შესაბამისად ეს გულისხმობს, რომ აქტივები და ჰასივები ტოლოა. ეს არის - ძუღალტრული ტოლობა, რომელიც ფორმალურად გამოხატავს აღრიცხვის ორადობის კონცეფციას. როგორც შემდგომში დავინახავთ აღრიცხვის ყველა პროცედურები გამომდინარეობს ამ ტოლობიდან, რომელიც ყველაზე ხშირად ასე გამოიხატება:

$$\text{აქტივები} = \text{ვალდებულებებს} + \text{მფლობელთა კაპიტალი}$$

საწარმოში არსებულ აქტივებს - სამეურნეო საშუალებებს ეძახიან, როგორც აღვნიშნეთ ეს ისეთი საშუალებებია, რომელებიც აუცილებელია იმ საქმიანობისათვის, რომლითაც არის დაკავებული აღნიშნული ბიზნესი.

სამეურნეო საშუალებების სახე და ოდენობა დამოკიდებულია ბიზნესის სახეზე და მოცულობაზე, ბუღალტრული აღრიცხვა სისტემატურად ახდენს ამ საშუალებების ასახვას მისი წარმოშობის წყაროების მიხედვით.

ნებისმიერი ცვლილება, რომელიც იძოქდებს სამურნეო საშუალებებსა და მათი წარმოშობის წყაროებზე და შეცვლის მას თანხომივად ან თვისომრივად იწოდება – სამურნეო ოპერაციად.

იმდენად, რამდენადაც ყველა სამურნეო ოპერაცია ბუღალტრულ რეგისტრებში უნდა აისახოს მისი ორივე ასპექტის რეგისტრაციით (სისტემატურად უნდა ხდებოდეს ყველა ცვლილების ორ ადგილზე ჩაწერა). ამდენად **ბუღალტრულ აღრიცხვას უწოდებენ - ორადი ჩაწერის აღრიცხვის სისტემას.**

საილუსტრაციო მაგალითი:

მეწარმემ ჩამოაყალიბა საწარმო და გადასცა მას საწარმოო დანადგარი – 20.000 ლარის. ამ სამურნეო ოპერაციის ორადი ასპექტი აისახება იმაში, რომ საწარმოს გაუჩნდა აქტივი – 20.000 ლარის და პასივი (მისი მფლობელის მიერ გადმოცემული ანუ საკუთარი კაპიტალი) – 20.000 ლარის ე. ი.

$$\begin{array}{rcl} \text{აქტივები} & & \text{პასივები} \\ \text{მანქანა-დანადგარი} - 20.000\text{ლ.} & = & \text{მფლობელთა კაპიტალი} - 20.000\text{ლ.} \end{array}$$

შემდეგი სამურნეო ოპერაცია:

საწარმოს სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად დასტირდა ფული და მოიზიდა, ანუ ისესხა ბანკიდან – 10.000 ლარი. ამ სამურნეო ოპერაციით ბუღალტრული რეგისტრები იცვლება ორი მიმართულებით, კერძოდ, აისახება ერთის მხრივ, ფულადი სახსრების შემოსვლა – 10.000 ლარის და მეორეს მხრივ ჩნდება მევალის მოთხოვნის უფლება ამ სახსრებზე – ბანკთან ვალდებულება – 10.000 ლარის. ამ ეტაპზე საწარმოს ქონებრივი მდგომარეობა ასე გამოიხატება:

$$\begin{array}{rcl} \text{აქტივები} & & \text{პასივები} \\ \text{მანქანა-დანადგარი} - 20.000\text{ლ.} & & \text{საესხო ვალდებულება} - 10.000\text{ლ.} \\ \text{ფულადი სახსრები} - 10.000\text{ლ.} & & \text{მფლობელთა კაპიტალი} - 20.000\text{ლ.} \\ \\ \text{სულ} - 30.000\text{ლ.} & = & \text{სულ} - 30.000\text{ლ.} \end{array}$$

თუ ამ მაგალითით ვიმსჯელებთ, ბუღალტრულ მონაცემებში, ორ ადგილზე (აქტივებში და პასივებში) გვიჩანს 30.000 ლარი, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს საწარმოს ორჯერ 30.000 ლარის ანუ 60.000 ლარის რაიმე მონაცემები გააჩნია. რა თქმა უნდა საწარმოს მხოლოდ ერთი – 30.000 ლარის ქონება გააჩნია და ის აქტივებშია ასახული. საწარმოს რეალური ქონება მხოლოდ აქტივია, რომელსაც გააჩნია - აქტივობის, მოძრაობის (გასვლა, შემოსვლა) უნარი, პასივი კი მისი წყარო, წარმოსახვითი მხარეა და მას დამოუკიდებლად მოძრაობის უნარი არ გააჩნია, ის მხოლოდ პასიურად მიყვება შესაბამის მოძრავ ელემენტს:

მაგალითად: როცა საწარმომ ფული ისესხა ბანკიდან 10.000 ლარი, რეალურად შემოვიდა ფული 10.000 ლარი, რომელიც აქტივებში ჩაიწერება, იგივე თანხა ჩაიწერება პასივებში

ვალდებულების სახით, მაგრამ ის მხოლოდ აქტივის – ფულის, წარმოშობის წყაროა და წარმოსახვითა, მისი რეალური სახე აქტივებში არსებული ფულია. ეს ფული საწარმოს შეუძლია ნებისმიერი დანიშნულებით გამოიყენოს: დახარჯოს სხვა ქონების შესაძენად, ხელფასის გადასახდელად და ა.შ. ფულის სახე შეიცვლება, მაგრამ ვალდებულებაში უცვლელად იქნება 10.000 ლარი და მუდმივად შეგვახსენებს, რომ საწარმოს მართებს მევალის 10.000 ლარი, სანამ საწარმო ამ ფულს არ გადაიხდის. შემდგომში, თუ საწარმო ამ ვალს გადაიხდის, ამით შემცირდება რეალური ფულადი აქტივი 10.000 ლარით და შემცირდება მისი წარმოსახვითი წყარო პასივში, ვალდებულება 10.000 ლარით.

ბულალტრული აღრიცხვა სისტემატურად, გამოუტოვებლად ახდენს საწარმოში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციის **ჩანაცემას – დარღვისტრუბას**, ორადი ჩაწერის სისტემის სამუალებით და სწორედ ეს გახლავთ ბულალტრული ინფორმაციის მოპოვების **ერთ – ერთი მეთოდი**.

ბულალტრული აღრიცხვა დროდადრო, გარკვეული პერიოდულობით ახდენს ამ ინფორმაციის გამსხვილებას, **განზოგადებას** და ისეთი ფორმის მიცემას, რომელიც სამუალებას აძლევს საწარმოს ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლებს, გამოიყენონ ის და მიიღონ თავიანთი ინტერესებისა და კომპენტენციის შესაბამისი ეკონომიკური გადაწყვეტილებები. **განზოგადება** ბულალტრული აღრიცხვის ინფორმაციის მოპოვების **ძორე მნიშვნელოვანი მეთოდის**.

სამეურნეო ოპერაციების ჩაწერით მიღებული ინფორმაციის განზოგადების შედეგად გარკვეული პერიოდულობით მზადდება **ფინანსური ანგარიშება**, რომლის ორ მთავარ განზოგადებულ ანგარიშს წარმოადგენს: საბალანსო ანგარიში (ბალანსი) და მოგებისა და ზარალის ანგარიში

4 . 6 . 1 . ბულალტრული ბალანსი

საბალანსო ანგარიში – წარმოადგენს საწარმოს ფინანსური ძალის მიზანების ამსახველ სურათს კონკრეტული პერიოდისათვის (მაგ: კვარტლის ბოლოს, წლის ბოლოს), რომელშიც ფინანსური ინფორმაციის მომხმარებელი კითხულობს თუ რა ქონება - ანუ რა აქტივები გააჩნია საწარმოს ამ პერიოდისათვის და საიდან, რა წყაროებით წარმოიშვა ეს ქონება - ანუ პასივები. ეს ინფორმაცია ყოველთვის უდა ეფუძნებოდეს ცნობილ საბალანსო ტოლობას.

აქტივები = პასივებს (ვალდებულებებს + მფლობელთა კაპიტალი)

ე. ი. აქტივების მთელი ღირებულება ეკუთვნის კაპიტალის მფლობელებს ან მევალებს და პირიქით – მფლობელთა და კრედიტორთა მიერ საწარმოში ჩადებული მთელი კაპიტალი წარმოდგენილია აქტივებით.

საილუსტრაციო მაგალითი:

ბალანსის მარტივ მოდელს წარმოადგენდა ზემოთ განხილული პატარა მაგალითი.

ჩავთვალოთ, რომ ეს იყო საწარმოს ბალანსი თვის დასაწყისში. მიმდინარე თვეში საწარმომ შეიძინა 5 000ლარის სასაქონლო მარაგი გასაყიდად. ამ სამეურნეო ოპერაციით 5 000ლარით შემცირდება ფულადი სახსრები და გაიზრდება სასაქონლო მარაგი, ე. ი. თვის ბოლოს, საწარმოს ქმნებისა და მისი წარმოების შესახებ ასეთი სურათი გვიჩვება:

აქტივები

მანქანა-დანადგარები - 20.000 ლ.
სასაქონლო მარაგი - 5.000 ლ.
ფულადი საშუალებები - 5.000 ლ.
აქტივები - 30.000 ლ.


პასივები

სასესხო კალდებულებები - 10.000 ლ.
სულ კალდებულება - 10.000 ლ.
მფლობელთა კაპიტალი - 20.000 ლ.
სულ კაპიტალი - 20.000 ლ.
პასივები - 30 000 ლ.

წინა ბალანსთან შედარებით ამ ბალანსში შეიცვალა მხოლოდ აქტივების შიგა სახეობები. აქტივების, ვალდებულებებისა და მფლობელთა კაპიტალის საერთო სურათი არ შეცვლილა. ეს იმას, ნიშნავს, რომ ამ ბიზნესში დაბანდებული კაპიტალი არც გაზრდილა და არც შემცირებულა. მაგრამ ნებისმიერი დაბანდება ბიზნესში მოგების მიზნით ხდება, რაც ნიშნავს დაბანდებული კაპიტალის ზრდას. ამდენად საწარმო მოწოდებულია განახორციელოს ისეთი სამეურნეო ოპერაციები, რომელიც მას შედეგს - მოგებას მოუტანს. მოგების გამომუშავების მარტივი წრებრუნვა ასეთ სურათს იძლევა:

სქემა 1

მოგების გამომუშავების მარტივი მოდელი



ამ წრებრუნვის დროს ერთ მხარეზე იხარჯება ფული მარაგის შემცირებისათვის და მეორე მხარეს მისი გაყიდვის (დახარჯვის) შედეგად გამომუშავდება შემოსავალი და

საბოლოოდ მიიღება ისევ ფული. ამ წრებრუნვისას შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა გვაძლევს შედეგს და თუ ეს შედეგი დადგებითია გლებულობთ მოგებას, თუ უარყოფითი – ზარალს. შედეგი მფლობელთა კაპიტალზე აისახება და შესაბამისად ზრდის ან ამცირებს მას.

საიღუსტრაციო მავალითი:

დავუბრუნდეთ წინა ბალანსს და გავაგრძელოთ სამეურნეო ოპერაციები. ვთქვათ საწარმომ გაყიდა 2.000 ლარის სასაქონლო მარავი და ოულიზაკიიდან მიიღო 2.500 ლარი. თუ მარტივად მიუღვებით ამ საკითხს, ამ ოპერაციით მცირდება ერთი აქტივი – სასაქონლო მარავი – 2.000 ლარით და იზრდება მეორე აქტივი – ფული 2.500 ლარით. ე. ი. საბოლოო ჯამში აქტივები იმატებს – 500 ლარით. ამავე ოდენობით იმატებს პასივებში – მფლობელთა კაპიტალი. თუ ასევე მარტივად დავინახავთ ბალანსში მომხდარ ცვლილებას, ამ სამეურნეო ოპერაციის შემდეგ, ბალანს ასეთი სახე ექნება :

აქტივები

მანქანა – დანადგარი – 20.000ლ.
სასაქონლო მარავი – 3.000ლ.
ფულადი საშუალებები – 7.500ლ.
სულ აქტივები – 30.500ლ.

პასივები

სასესხო ვალდებულება – 10.000ლ.
სულ ვალდებულება – 10.000ლ
მფლობელთა კაპიტალი – 20.000ლ.
მოგება – 500ლ.
სულ კაპიტალი – 20.500ლ.
სულ პასივები – 30.500ლ.

თუ ამ ბალანსს შევადარებთ წინა ბალანსს აღმოვაჩინთ, რომ წინა შემთხვევაში მომხდარი სამეურნეო ოპერაციების ასახვით იცვლებოდა აქტივებისა და პასივების სტრუქტურა, მაგრამ საწარმოს საკუთარი კაპიტალი, ანუ ბიზნესში დაბანდებული კაპიტალი უცვლელი რჩებოდა. ბოლო სამეურნეო ოპერაციის შედეგად კი ბალანსი შეიცვალა, როგორც სტრუქტურულად ასევე შედეგობრივად-კერძოდ, კაპიტალში გაჩნდა ახალი მუხლი საწარმოს მიერ მიღებული მოგება – 500 ლარის, რამაც გაზარდა მფლობელთა კაპიტალი – 20.500 ლარამდე.

რამდენადაც სამეწარმეო საქმიანობის ძირითადი მიზანი – მოგების მიღებაა, ბუნებრივია, რომ საწარმო ასეთ შედეგობრივ თპერაციებს არაერთჯერადად, სისტემატურად ახორციელებს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ საწარმო სისტემატურად ცვლის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სურათს, როგორც სტრუქტურულად ასევე შედეგობრივად.

4 . 6 . 2 . მოგება – ზარალის ანგარიში

წინა თავში ჩვენ განვიხილეთ ბუღალტრული ბალანსი და აღვნიშნეთ, რომ ის ასახავს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სურათს დროის განსაზღვრული მომენტისათვის,

ეხლა კი შევეცდებით განვიხილოთ მეორე განზოგადებული ანგარიში მოგება – ზარალის ანგარიში.

მოგება-ზარალის ანგარიში წარმოადგენს ერთი საანგარიშებო პერიოდის განმავლობაში:
ბალანსირანი – ბალანსამდე, საწარმოს საქმიანობის შედეგების ამსახულ სურათს, სადაც მომხმარებელი კითხულობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა შემოსავლები მიიღო, ზარჯები გაწია, საწარმომ ამ პერიოდში და რა შედეგი დარჩა მას: მოგება თუ ზარალი, რომელიც აისახება ამ პერიოდის ბოლოს მომზადებული ბალანსის მფლობელთა კაპიტალში და გაზრდის ან შეამცირებს მას.

ეს ორი ფინანსური ანგარიში გახლავთ იმის დემონსტრირება, რომ ნებისმიერი ობიექტის რეალურად წარმოსახვისათვის (იქნება ეს საწარმო, ადამიანის სხეული თუ თვით მთელი სამყარო) არსებობს ორი უკვლელი ხერხი:


- 1) დროის გარკვეული მომენტისათვის არსებული მდგომარეობით წარმოსახვა (ობიექტის არსებული მდგომარეობის ასახვა – როგორია, რას წარმოადგენს დღეს);
- 2) დროში მოძრაობის ფორმით წარმოსახვა (დროის გარკვეულ მონაკვეთში ობიექტში მომხდარი ცვლილებების ასახვა – როგორი იყო, რას წარმოადგენდა და როგორ შეიცვალა დღეს).

ე.გ. თუ გვინდა საწარმოს ფინანსური სურათის სრულყოფილად შევასება უნდა განვიხილოთ ფინანსური მდგომარეობა გარკვეული პერიოდისთვის, მაგალითად წლის ბოლოს, (ბალანსი) და ფინანსური მდგომარეობის ცვლილება პერიოდიდან პერიოდამდე - წინა წლის ბოლოდან მიმდინარე წლის ბოლომდე. (მოგება-ზარალი).

საწარმოში სამეურნეო საშუალებების ბრუნვა უსასრულოა, რის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი სქემა:

სქემა 2

სამეურნეო ოპერაციების წრებრუნვა



უმრავლეს შემთხვევაში მოგება-ზარალის ანგარიშება განეკუთვნება დიაგრამის იმ ნაწილს, რომელსაც ეწოდება **შემოსავლის გამომუშავება** ანუ რასაც ჩვენ „საწარმოო ოპერაცია“-ს ვეძახთ.

ეს ანგარიშგება თავისი არსით შედგება ორი ელემენტისაგან. ერთი ასახავს აქტივების შემოღინებას (შექმნას), როგორიცაა ფულადი საშუალებები ან მოთხოვნები – საქონლის რეალიზაციის ან დამკვეთებისათვის გაწეული მომსახურების შედეგად - მათ ეწოდებათ **შემოსავლები**. მეორე ასახავს რესურსების გადინებას (მოხმარებას), რომლებიც აუცილებელი იყო ამ შემოსავლების მისაღებად – მათ ეწოდებათ **ხარჯები**.

მოგება – ეს არის სხვაობა, რითაც შემოსავლები აჭარბებს ხარჯებს. ტერმინი **წმინდა მოგება** გამოიყენება შემოსავლების ხარჯებზე სუფთა ნამეტის გამოსახატად. ზოგიერთი კომპანია იყენებს ტერმინს **წმინდა შემოსავალი**. იმ შემთხვევაში თუ მთლიანი ხარჯები აჭარბებენ მთლიან შემოსავლებს, მაშინ სხვაობა იქნება **წმინდა ზარალი**.

4 . 7 . სააღრიცხვო პერიოდის კონცეფცია

ზემოთ განხილულ ბოლო ბალანსში, საწარმოს მფლობელთა კაპიტალი 500 ლარით გაიზარდა წინა ბალანსთან შედარებით, ე.ი. მარტივად რომ ვთქვათ საწარმო გამდიდრდა 500 ლარით, ანუ შეიცვალა მისი ქონებრივი მდგომარეობა. ამ ცვლილებების ასახვას პერიოდიდან პერიოდამდე ახდენს მოგება – ზარალის ანგარიშგება.

საილუსტრაციო მაგალითი:

დავუძრუნდეთ იმ სამეუწეო ოპერაციას, რომელმაც მოიტანა 500 ლარის მოგება და განვიხილოთ ის ცნობილი საბალანსო ტოლობიდან: აქტივები = პასივებს (ე.ი. ყველა აქტივს თავისი წყარო აქვს და ყველა პასივი თავისი აქტივით არის წარმოდგენილი) ამ ოპერაციის დროს 2.000 ლარის სასაქონლო მარავი გაიყიდა 2.500 ლარად, საწარმოსათვის 2500 ლარის ფულადი სახსრების შემოსვლა - აქტივების ზრდა - შემოსავალია, ხოლო 2.000 ლარის სასაქონლო მარავის გასვლა - აქტივების შემცირება - ხარჯია. 500 ლარი - რომლითაც შემოსავალმა გადააჭარბა ხარჯს - მოგებაა.

საბალანსო ტოლობიდან გამომდინარე აქტივები ყოველთვის უდრის პასივებს, ამდენად აქტივების ზრდა (+2.500 - 2.000) = 500 ლარი უნდა აისახოს პასივების ზრდაზეც. ჩვენს მაგალითში გალღებულებების ნაწილი არ შეცვლილა და ეს ზრდა აისახება საწარმოს კაპიტალზე, მაგრამ რამდენადაც მფლობელს დამატებითი შემოტანა არ განუხორციელება, ის აისახება საწარმოს მიერ „გამომუშავებულ“ მოგებაზე.

მოგებაც გახლავთ აქტივების ერთ-ერთი წყარო და თუ ამ კუთხით დავინახავთ ზედა სამეურნეო ოპერაციას, სუფთა აქტივების ზრდა წარმოადგენს შემოსავალს, რომელიც ზრდის მოგებას, ხოლო სუფთა აქტივების კლება წარმოადგენს ხარჯს, რომელიც ამცირებს მოგებას. აქედან გამომდინარე სამეურნო ოპერაციიდან წარმოშობილი შემოსავალი ეს - მოგების ზრდაა, ხარჯი - მოგების შემცირება ე.ი.

შემოსავლებს - ხარჯები = წმინდა მოგებას.

ავსახოთ ეს ოპერაცია მარტივ ცხრილში:

ოპერაციის შინაგანი	აქცია		გადაუტენა		კაპიტალი		შემოსავალი	ნარჯი
	იზრდება	მცირდება	იზრდება	მცირდება	იზრდება	მცირდება		
დახმა 01.05-თვეს	30000		10000			20000		
საქონლის გაფილვა უფლის შემოსავა	2500	2000					2500	2000
სულ	2500	2000					2500	2000
	30500 =		10000		20000		მოგება 500	

ბიზნესის მიზანი მოგების მიღებაა, ძირითადი სამეურნეო ოპერაციებიც სწორედ ამას ემსახურება, მაგრამ ბიზნესში მოგების დათვლა ყველა ოპერაციის შედეგად არ ხდება, ის გამოიანგარიშება გარკვეული პერიოდულობით ანუ ბალანსიდან ბალანსამდე. მანამდე კი ეს ინფორმაცია გროვდება შემოსავლებისა და ხარჯების სახით. შემოსავლები და ხარჯები პერიოდის ბოლოს აისახება მოგება – ზარალის ანგარიშგებაში. სადაც დაწვრილებით გადმოიცემა ინფორმაცია წლის განმავლობაში მიღებულ შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების კატეგორიების მიხედვით და გამოითვლება საბოლოო შედევი - ერთი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული საერთო მოგების ან ზარალის შესახებ. მოგება ან ზარალი კი აისახება ბალანსის კაპიტალის ნაწილში - გაუნაწილებელი მოგების ან დაუფარავი ზარალის სახით და შესაბამისად ზრდის ან ამცირებს მფლობელთა კაპიტალს.

როგორც აღვნიშნეთ, ბიზნესის არსი მოგების მიღებაში გამოიხატება, რომელიც წარმოგვიდგება, როგორც შემოსავლების ნამეტი ხარჯებზე. ის კაპიტალის ნაწილში აისახება, მაგრამ მოგება არ უნდა იქნას გათვისებული ფულთან, ის ისეთივე წყაროა აქტივებისა, როგორც მეპატრონის კაპიტალი და კრედიტორთა ვალდებულება. ჩვენი მაგალითიდან მოგების – 500 ლარის რეალური სახე აქტივებშია – ფულის სახით გამოხატული. თითონ მოგება კი მხოლოდ ამ ფულის წარმოშობის წყაროა, თუმცა ეს წყარო განსხვავდება კაპიტალისა და ვალდებულებისაგან იმით, რომ ისინი გარედან შემოსულია, ხოლო მოგება საწარმოს მიერ აქტივების გამოყენებით არის გამომუშავებული. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებისათვის დამახასიათებელია გაზომონ საკუთარი მოგება, მიღებული ფულის ოდენობით, საწარმოებისათვის მოგების განსაზღვრის ეს კონცეფცია არ გამოიყენება.

თუ ჩვენ გადავწყვეტთ გავზომოთ საწარმოს მოგება მთლიანად მისი არსებობის მანძილზე - ეს ადვილი საქმეა - ის შემოსული და გასული ფულის სხვაობით გაიზომება. მოქმედი (ფუნქციონირებადი) საწარმოს კონცეფციიდან გამომდინარე საწარმოს საქმიანობა დროში შეუზღუდავია, მაგრამ ხელმძღვანელები, ინვესტორები და სხვა დაინტერესებული პირები რათქმა უნდა არ ელოდებიან ბიზნესის დასრულებას, რომ შეაფასონ ის. ბიზნესის ფინანსური მდგომარეობის შეფასება გარკვეული პერიოდულობით ხდება, რათა მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიიღონ გადაწყვეტილება საქმიანობის სამომავლო მიმართულებების შესახებ.

ეს გახლავთ საფუძველი სააღრიცხვო პერიოდის კონცეფციის, რაც გამოიხატება იმაში, რომ ბუღალტრული აღრიცხვა საქმიანობას აფასებს დროის გარკვეულ შუალედში,

რომელსაც სააღრიცხვო პერიოდს უწოდებენ. ამ პერიოდის დადგომისას ბუღალტრული აღრიცხვა აჯაშებს, ამსახულებს, განაზოგადებს მის მიერ ასახულ ინფორმაციებს და ამის საფუძვლზე ამზადებს ფინანსურ ანგარიშებას.


ფინანსური ანგარიშების მომზადებისა და ამ ინფორმაციის მომხმარებლებზე მიწოდების პერიოდად, როგორც წესი ითვლება წელი.

უმეტეს საწარმოებში საანგარიშო ანუ ფინანსური წელი ემთხვევა კალენდარულ წელს (თუმცა შეიძლება ის მისგან განსხვავებულიც იყოს).

ფინანსური ანგარიშების ორი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია: ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიშება. ბუღალტრულ ბალანსში გადმოიცემა ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა ფინანსური მდგომარეობა აქვს საწარმოს საანგარიშო პერიოდის ბოლოს - 31 დეკემბერს, ე.ი. რა ქონება აქვს და რა წყაროებით არის დაფინანსებული ეს ქონება. აქვე ეჩვენება წინა საანგარიშო პერიოდის შესაბამისი სურათი, ამდენად:

ბალანსში გეთხულობთ წინა საანგარიშო პერიოდის ბოლოდან მიმდინარე საანგარიშო პერიოდის ბოლომდე რამდენად შეცვალა ქონება და მათი წარმოშობის წყაროები. ხოლო იმას თუ რამ გამოიწვია ფინანსური მდგომარეობის სურათის ასეთი ცვლილება ვარკვევთ მოგება-ზარალის ანგარიშის საშუალებით, რომელიც გამოხატავს ერთი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ანუ ბალანსიდან ბალანსმდე ქონებრივი მდგომარეობის ცვლილების მაზეზს - წლის განმავლობაში მიღებულ შემოსავლებსა და გაწეულ ხარჯებს და საბოლოოდ ამ პერიოდის საქმიანობის ფინანსურ შედეგს: მოვებას ან ზარალს.

სააღრიცხვო პერიოდის კონცეფცია



ბალანსი – ქონებრივი სურათის ცვლილება საანგარიშებო პერიოდის დასწყისიდან ბოლომდე

მოვება ზარალი – ბალანსიდან ბალანსმდე ქონებრივი სურათის ცვლილების მაზეზი

ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას რა თქმა უნდა ხელმძღვანელობის უმეტესობა თავიანთი საქმიანობის წარმატებულობის დასამტკიცებლად ისურვებდა წარმოედგინა ფინანსურად მოგებიანი და არა ზარალიანი საწარმოს ანგარიშება, მაგრამ

კონსერვატიზმის კონცეფციის თანახმად საწარმოს მოგების (შემოსავლების) ზრდის აღიარებისათვის გაცილებით მნიშვნელოვანი მტკიცებულებებია საჭირო ვიდრე მოგების შემცირების (ხარჯების) აღიარებისათვის.

კონსურვატიზმის კონცეფციის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვა არ უნდა იძლეოდეს ფინანსური მდგომარეობის გაუმართლებელ, ოპტიმისტურ შეფასებას. ამ კონცეფციას აქვს ორი მხარე:

- 1) შემოსავლების (ქონების ზრდის) აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როცა იგი წარმოადგენს სრულიად განსაზღვრულ მოვლენას.
- 2) ხარჯების (ქონების შემცირების) აღიარება ხდება მაშინ, როცა იგი წარმოადგენს სრულიად შესაძლებელ მოვლენას.

ვთქვათ, საწარმოს, რომელიც უშვებს ავტომობილს, მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში დამკვეთმა გაუფორმა ხელშეკრულება ავტომობილის შეძენაზე, რომლის გაგზავნა მოხდება მოძღვნო წლის იანვარში. მიუხედავად იმისა რომ არ არსებობს მყიდველის მხრიდან შეძენაზე უარის თქმის საშიშროება, ამ წელს გამყიდველ კომპანიაში ეს მოვლენა არ აისახება შემოსავლის სახით.

ვთქვათ ამ საწარმოს დეკემბრის თვეში დაეკარგა ავტომობილი, მიუხედავად იმისა, რომ წლის ბოლომდე არ გარკვეულა საბოლოოდ დაიკარგა, თუ კერ კიდევ შესაძლებელია მისი პოვნა, ეს მოვლენა ბუღალტრულად უნდა აღირიცხოს დეკემბერშივე, როგორც აქტივის შემცირება.

კონსერვატიზმის კონცეფციის თანახმად, უკვე აღიარებული აქტივების მიმართაც ვიჩენთ წინდახედულებას: მაგალითად წლის განმავლობაში შეძენილი საქონლის, ვთქვათ ტელევიზორის ღირებულება (რომელიც თავდაპირველი ღირებულების კონცეფციიდან გამომდინარე ასახული გვაქვს შეძენის თვითლირებულებით), შეადგენს 500 ლარს. ფინანსური ანგარიშების შედგენის დროს, აღმოჩნდა რომ ეს ღირებულება მის მოსალოდნელ გასაყიდ ღირებულებაზე მეტია. (ვთქვათ, ბაზარზე ახალი მოდელის გამოსვლასთან დაკავშირებით გასაყიდმა ფასმა დაიწია 400 ლარამდე). მიუხედავად იმისა, რომ გაყიდვის ფაქტი კერ არ მოშენდა, მოსალოდნელ ხარჯს (ზარალს) – 100 ლარს ავსახავთ საანგარიშო წლის მოგება-ზარალში და ბალანსში საქონლის ღირებულებას შევიტანთ შემცირებული თვითლირებულებით 400 ლარით. ეს კონცეფცია უზრუნველყოფს, რომ საწარმოს მდგომარეობა ფინანსურ ანგარიშებაში არ იქნას ოპტიმისტურად წარმოადგენილი.

შემოსავლების აღიარების პერიოდი. შემოსავლის აღიარების პერიოდის განსაზღვრა ბუღალტრულ აღრიცხვაში ეყრდნობა კონსერვატიზმის კონცეფციას.

ზემოთ მოტანილ მაგალითში, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა მყიდველის რეალური დაკვეთა, ავტომობილის გაყიდვა არ იქნება აღიარებული დეკემბრის თვეში - და ის არ აღიარდება მიწოდებამდე. შეიძლება იფიქროთ, რომ გაყიდვის აღიარებას ხელი შეუშალა იმან, რომ კერ ფული არ იყო მიღებული, მაგრამ შემოსავლის აღიარებისათვის მნიშვნელოვანია არა ფულის მიღება, არამედ აქტივის გადაცემის ფაქტი და შემოსავლის მიღების რეალური რწმენა, რომელიც დასტურდება მყიდველის დოკუმენტით. ამდენად შემოსავლის აღიარების პერიოდი მხოლოდ იანვარში დადგება.

შემოსავლების აღიარება ძირითადად ხდება იმ დროს როცა პროდუქცია, საქონელი გადაცემა, მომსახურება გაუწევა დამკვეთს და არა მაშინ, როცა ფული იქნება მიღებული. ხშირ შემთხვევაში საცალო ვაჭრობასა და მომსახურების ფირმებში ეს ორი მომენტი ერთმანეთს ემთხვევა – ფულის გადახდა ხდება საქონლის გადაცემისას, მომსახურების გაწევის დროს და ეს თვალსაჩინოდ ადასტურებს „შემოსავლის გამომუშავების“ ფაქტს. მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება, ფული შეიძლება მიღებულ იქნას წინასწარ საქონლის გადაცემამდე, მომსახურების გაწევამდე ან მის შემდგომ.

მაგალითით. საგამომცემლო საწარმომ ურნალზე ხელმომწერისგან ფული მიიღო მიმდინარე წელს, ურნალი კი მიეწოდება მომდევნო წელს. მიუხედავად იმისა, რომ ფული მიღებულია მიმდინარე წელს, შემოსავალი აღიარდება მომდევნო წელს, როცა საწარმო ხელმომწერს გადასცემს ურნალს, ხოლო მიმდინარე წელს მიღებული ფული საწარმოს ბალანსში აისახება, როგორც ვალდებულება – მომავალი პერიოდის შემოსავალი, რაც გამოხატავს ამ საწარმოს ვალდებულებას ხელმომწერის წინაშე.

ასევე შეიძლება საწარმომ მიაწოდოს მყიდველს საქონელი ან მომსახურება გადახდის გარეშე ანუ კრედიტში. ამ დროს მიუხედავად იმისა, რომ საწარმოს ფული არ მიუღია, რადგანაც მოხდა შეთანხმებით კრედიტში მიწოდება, (რაც თავის თავში გულისხმობს თანხის შემდგომ პერიოდში გადახდას) საწარმო აღიარებს შემოსავალს, რომელიც გამოხატული იქნება ბალანსში არა ფულით, არამედ მოთხოვნით ანუ იმ უფლებით, რომელიც საწარმომ მიიღო ამ ოპერაციიდან (ფულის მოთხოვნის უფლება). იმის შემდგომ კი, როცა ფული შემოვა საწარმოში ეს აღარ იქნება შემოსავალი, არამედ ამ თანხით შემცირდება მოთხოვნა. ე.ი. რეალიზაციიდან შემოსავლის აღიარებისას მნიშვნელოვანია მიწოდების განხორციელების მომენტი და არა ფულის მიღების დრო.

4 . 9 . რეალიზაციის კონცეფცია

კონსერვატიზმის კონცეფცია ადგენს პერიოდს, რომელშიც უნდა აღიარდეს გაყიდვიდან შემოსავალი, ხოლო რეალიზაციის კონცეფცია განსაზღვრავს შემოსავლის იმ თანხას, რომელიც უნდა იქნას აღიარებული ამ მოცემული გაყიდვიდან.

ტერმინი “რეალიზაცია” უნდა გავიგოთ, როგორც მყიდველისათვის საქონლის ფლობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და სარგებლის გადაცემა და მიმწოდებლის უფლება მიიღოს შემოსავალი რეალიზაციიდან, რომელიც შეიძლება ემთხვეოდეს, უსწრებდეს ან მოსდევდეს საქონლის მიწოდებას. ე.ი. რეალიზაციიდან შემოსავლის აღიარებისათვის არსებითი არ არის როდის იქნება სარგებელი რეალურად მიღებული – მყიდველისათვის საქონლის გადაცემამდე, გადაცემის დროს თუ მის შემდეგ. ამ კონცეფციის თანახმად შემოსავლად აღიარდება ის თანხა, რომელსაც ელოდება ან მიიღო გაყიდველმა მყიდველისაგან. თუ გაყიდვის პირობებით გათვალისწინებულია ფასდათმობა, შემოსავალი აღიარდება ფასდათმობის გარეშე. თუ გაყიდვის შემდეგ გაირკვა რომ დებიტორისაგან ფულის ამოღების საკითხი ეჭვქვეშ დგება, ამ შემთხვევაშიც ხდება სუფთა შემოსავლის (მოგების) შემცირება საეჭვო დებიტორის თანხით.

რეალიზაციის კონცეფცია პერიოდიზაციის თვალსაზრისით შერწყმულია შესაბამისობის კონცეფციასთან.

4 . 10 . შესაბამისობის კონცეფცია

როგორც უკვე აღნიშნეთ საქონლის რეალიზაციას აქვს ორი ასპექტი:

1. შემოსავლის ასპექტი, რომელიც გამოხატავს გაუნაწილებელი მოგების ზრდას (ტოლია რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის);
2. გასავლის ასპექტი, რომელიც გამოხატავს გაუნაწილებელი მოგების კლებას (ტოლია იმ საქონლის, აქტივის ღირებულების რომელიც გავიდა საწარმოდან ამ რეალიზაციისას).

იმისთვის, რომ სწორად შეფასდეს საანგარიშო პერიოდის საწარმოს მოგება, საჭიროა ეს ორივე ასპექტი აღიარებული იქნას ერთი და იგივე დროს, რასაც მოითხოვს **შესაბამისობის კონცეფცია**: როცა სამეურნეო ოპერაცია მოქმედებს, როგორც შემოსავალზე ასევე გასავალზე, ორივე ზემოქმედება უნდა აისახოს შესაბამისად ერთი და იგივე პერიოდში.

შესაბამისობის კონცეფციის ძირითადი პრინციპია: **გასავალი, რომელიც დაკავშირებულია შემოსავლის მიღებასთან, უნდა აღიარდეს ხარჯად, შემოსავლის აღიარების დროს.**

მაგალითი:

საწარმომ 7 მაისს შეიძინა ტელევიზორები გასაყიდად. ივნისის 15 რიცხვში მოახდინა მათი რეალიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ ფული დახარჯა მაისში, ტელევიზორების შეძენის დღიუბეულება ხარჯად უნდა აღიარდეს 15 ივნისს, შემოსავლების აღიარებასთან ერთად.

ისეთი დანახარჯები კი, რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება შემოსავლის მიღებას, ხარჯად უნდა აღიარდეს იმ პერიოდის შესაბამისად რომელსაც უკავშირდება ეს ხარჯი.

მაგალითი:

მაისის თვის ოფისის იჯარის ხარჯი 2.000 ლარი საწარმომ გადაიხადა 25 აპრილს. ამ დროს გადახდილი ფული საწარმოსათვის წინასწარ გადახდილი ფული, აქტივია და არა ხარჯი. ხარჯად ის აღიარდება მაისის თვეში. ვთქვათ საწარმო ფულის გადახდას აგვიანებს და გადაიხადა 5 ივნისს. 2.000 ლარის ხარჯი მაიც მაისში აღიარდება და მაისის ბოლოს დარჩება კალდებულება. 5 ივნისს გადახდილი ფულით კი ეს კალდებულება დაიფარება.

ზემოთ განხილული საკითხები: შემოსავლის აღიარების პერიოდი; რეალიზაციის აღიარების კონცეფცია და შესაბამისობის კონცეფცია - უკავშირდება ფინანსური ანგარიშების მომზადების უმთავრეს პრინციპს - **“დარიცხვის მეთოდის.** რომელიც ქვემოთ ცალკე იქნება განხილული, სადაც შევძლებთ ამ საკითხების უფრო ღრმად ერთიან კონტექსტში წარმოდგენას.

4 . 11 . თანმიმდევრულობის კონცეფცია

საწარმომ აღრიცხვის სტანდარტების, ადგილობრივი კანონმდებლობის, ქვეყანაში მიღებული ნორმებისა და წესების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად უნდა შეიმუშაოს აღრიცხვის კონკრეტული პოლიტიკა, რომელშიც ჩამოაყალიბებს, საწარმოს მიერ შერჩეულ პრინციპებსა და მეთოდებს.

თანმიმდევრობის კონცეფციის თანახმად საწარმო აირჩევს რა ერთხელ აღრიცხვის ერთ მეთოდს, რაც შეიძლება ხანგრძლივად უნდა შეინარჩუნოს ის. ზოგადი კონცეფციიდან და პრინციპებიდან გამომდინარე ის ვალდებულია ეს მეთოდები გამოიყენოს მომავალშიც ანალოგიური მოვლენების ასახვისას და არ ცვალოს ის, სანამ არ წარმოიშობა მეთოდის შეცვლის სერიოზული მიზეზები.

თუ საწარმო ხშირად ცვლის აღრიცხვის პოლიტიკას მაშინ მისი სხვადასხვა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების შედარება მნიშვნელოვნად გაძნელდება, რადგან ისინი არ იქნება ერთმანეთთან შესადარისი.

4 . 12 . არსებითობის კონცეფცია

არსებითობის კონცეფციის თანახმად, ბუღ. აღრიცხვაში სამეურნეო მოვლენების ასახვისას მხედველობაში არ მიიღება არაარსებითი ფაქტები. ვთქვათ საწარმომ შეიძინა საკანცელარიო საქონელი: საწერი ქაღალდი და ავტოკალმები და შეძენისთანავე აღიარა ხარჯი. ამ დროს საწარმო სარგებლობს არსებითობის კონცეფციით და არაარსებითად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ეს ნივთები მაშინვე, ერთბაშად არ იხარჯება. თუ ამ ფაქტს არსებითად მიიჩნევდა, მაშინ მათ ასახავდა აქტივად და მისი გამოყენების შესაბამისად – თანდათან ჩამოწერდა ხარჯად. ასეთ შემთხვევაში აღრიცხვაში არაარსებითი ფაქტის ამსახველი მრავალი ჩანაწერი შესრულდებოდა, რაც დროის არაეფექტური ხარჯვა იქნებოდა.

ამ კონცეფციის თანახმად საწარმომ შეიძლება მთელი მარაგი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოადგინოს ერთ ჯგუფად. ვთქვათ საქონელზე, რომლის შემადგენლობაში ასობით დასახელების სხვადასხვა ასორტიმენტია, მომხმარებელს ინფორმაცია აგრერირებული (შეერთებული) მუხლით მიაწოდეს. აქ არსებითობის პრინციპი იმ კუთხით გამოიხატება, რომ ინფორმაციის მომხმარებლისათვის, გადაწყვეტილების მიღებისას, საქონლის ღირებულების ინფორმაცია მნიშვნელოვნი – არსებითა, ხოლო დაწვრილებითი ინფორმაცია საქონლის ასორტიმენტის მიხედვით, არაარსებითა და მის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე არ იმოქმედებს.

არსებითად ითვლება ოპერაცია, რომელიც იმოქმედებდა ფინანსური ინფორმაციის მომხმარებელზე გადაწყვეტილების მიღებისას. ოპერაციების არსებითად და არაარსებითად დაყოფა სუბიექტურია. ფორმალური წესები ამ მიმართულებით არ არსებობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა არსებითი ინფორმაცია ანგარიშგებაში უნდა გაიხსნას და აისახოს სრულად.